



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის



## ოქმი № 09

2020 წელი 15 ივლისი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2020 წლის 15 ივლისს შედგა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: შალვა მშვილდაძე ნოდარი გიორგიძე, გია სახამბერიძე, ირინა ტყემელაშვილი, სიმონ ჭოლოკავა, ფრიდონ მაჩიტაძე, მამუკა გორგოძე, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი, გაბრიელ ღიბრაძე, გიორგი რობაქიძე.

არ ესწრებოდა: გურამი კვიციანი.

**მუნიციპალიტეტის მერიიდან სხდომას ესწრებოდნენ:**

კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი  
საკრებულოს აპარატის უფროსი - ნოდარ ებანოძე.

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა: შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც დღის წესრიგის პროექტის წარდგენამდე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულია წინადადება რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე 16 ივლისამდე, საკითხი ეხება დამატებითი ინფრასტრუქტურის პროექტების მოწონებას, რომელიც განსახილველად უნდა იქნეს წარდგენილი სამხარეოს საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე. სხდომის თავმჯდომარემ შალვა მშვილდაძემ წინადადებით მიმართა ბიუროს წევრებს, მხარი დაეჭირათ მუნიციპალიტეტის მერიის წინადადებისათვის და რიგგარეშე მოეწვიათ 15 ივლისს 10:30 საათზე. შ. მშვილდაძემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებლად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

2., მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონებების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (საძოვარი) პირდაპირი განკარგვის წესით (აუქციონის გარეშე) სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივნისის №42 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

### **დღის წესრიგი დამტკიცდა**

**მომხრე - 11      წინააღმდეგი - 0**

### **კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11 ბიუროს წევრმა**

**მ ო ს მ ი ნ ე ს:** 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებლად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

**კახა მსხვილიძე**-მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

**კომისიის დასკვნა** ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ

**ბიურომ გადაწყვიტა:**

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2020 წლის 15 ივლისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე-11 წინააღმდეგი-0**

### **კენჭისყრაში მონაწილეობდა 11 ბიუროს წევრი**

**მ ო ს მ ი ნ ე ს:** 2. „მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონებების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (საძოვარი) პირდაპირი განკარგვის წესით (აუქციონის გარეშე) სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივნისის №42 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა **მირიან ფულარიანმა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა.**

**კომისიის დასკვნა** ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ

**ბიურომ გადაწყვიტა:**

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2020 წლის 15 ივლისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე-11 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობდა 11 ბიუროს წევრი

**ბიუროს სხდომამ გადაწყვიტა:**

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელიც გაიმართება 2020 წლის 15 ივლისს 10:30 საათზე, დღის წესრიგში შეტანილი იქნეს შემდეგი საკითხები:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებლად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე-მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

2. „მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონებების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (სამოვარი) პირდაპირი განკარგვის წესით (აუქციონის გარეშე) სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივნისის №42 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

**სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

**სხდომის თავმჯდომარე:**

**შალვა მშვილდაძე**